

შპს „ელე-2005“

ს/კ 432 543 704

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2022წლის 31 დეკემბრით დასრულებული
წლისთვის.

დირექტორი : გიორგი ბერიანიძე



ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „ელე-2005“-ის იურიდიული მისამართი: ქ.კასპი, დ.აღმაშენებლის ქ.21

დირექტორი გიორგი ბერიანიძე პ/ნ 24001028575

შპს „ელე-2005“ დაფუძნდა 2015წელს

შპს „ელე-2005“-ის ძირითადი საქმიანობაა ინერტული მასალის ტრანსპორტირება ქვეყნის ფარგლებში.

საწარმო წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს და არ ევალება აუდიტის ჩატარება.

არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 2022 კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

კომპანიის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოობის პრინციპის შესაბამისად.

დირექტორი : გიორგი ბერიანიძე



სამუშაო და ანგარიშგების ვალუტა

კომპანიის საოპერაციოს და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა- ლარი.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპები

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია წარმოების განვითარების გეგმის შესაბამისად. შემდგომი განვითარების გეგმა ითვალისწინებს, რომ არსებული რესურსების პირობებში საწარმოს უნარი აქვს უწყვეტად განახორციელოს საოპერაციო საქმიანობა მომავალშიც.

რეალიზაციის ასახვა

რეალიზაციის მაჩვენებელი წარმოადგენს გადაზიდვის მომსახურებიდან მიღებულ და მისაღებ თანხებს დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით. მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას მიეკუთვნება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა მისი ტრანსპორტირება, თანახმად რეალიზაციის პრინციპისა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც: იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

დანახარჯები ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვისა და მიმდინარე რემონტზე, რომლითაც არ იზრდება ძირითადი საშუალებების ღირებულება მიკუთვნებულია საოპერაციო ხარჯებზე. დანახარჯები რომელიც გაიწევა ძირითადი საშუალებების, განახლებაზე კაპიტალიზირდება და ზრდის ძირითადი საშუალებების ღირებულებას.

- ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს, ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდომარეობაში მოყვანის ხარჯებს
- ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით

დირექტორი : გიორგი ბერიანიძე



- ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხვება პირვანდელი ღირებულებიდან ნაშთის შემცირებადი მეთოდით

მოგების გადასახადი

გადასახადის გადამხდელის უმრავლესობა, მათ შორის ამ კომპანიასაც არ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე, მხოლოდ დივიდენდის გადაწილება და სპეციფიური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში მოხვედრას.

მარაგები

სხვა მარაგებში აღნიშნულია საწვავი (დიზელი) , რომელიც ჩართულია ეკონომიკურ საქმიანობაში და გამოიყენება გადაზიდვის მომსახურების დროს.

და ასევე ავტონაწილები, რომელიც გამოიყენება მიმდინარე რემონტის დროს.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით ,რომელიც მოცავს შეძებასთან,ტრანსპორტირებასთან ,შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპი დანახარჯებს .

სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდია „საშუალო შეწონილი“

ცალკეული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა -

მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს

კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აუცილებელი ნივთები და მასალები (კატრიჯები , დისკები ,ეკრანის გასაწმენდი სითხე და სხვა) , მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს.

ასევე ავტონაწილები (ფილტრები, ზეთი, საბურავი, ხუნდები და ა.შ.), რომლებიც აუცილებელია მანქანების გამართული მუშაობისთვის რათა არ შეაფერხოს ეკონომიური საქმიანობა) მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება მიმდინარე რემონტის ხარჯებს.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული მოთხოვნები

მომსახურების მიწოდებას საწარმო ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე მოთხოვნაზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება.

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის გადახდილი თანხების ღირებულებას.

საგადასახადო ვალდებულებები

საწარმო რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად

საგადასახადო ვალდებულების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშებაში ასახული (განგარიშებული) გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხებით)

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც იგი წარმოიშვა.

ხარჯების აღიარება

- ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით
- ხარჯების აღირიცხვის შინაარსი - ფუნქციური დანიშნულებით
- ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.
- საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

იჯარა

ტრანსპორტის იჯარა, რომლის გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში. რომლის შემთხვევაშიც აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი და ეკონომიური სარგებლის გადაცემა არ სდება მოიჯარეზე.

პროცენტები

ბანკიდან აღებული გრძელვადიანი სესხზე ბანკის მიერ მიმდინარე დარიცხული თანხა.

დებიტორები

დარიცხული იჯარები და ანგარიშვალდებული პირის დაუფარავი ვალები.

შპს „ელე-2005“ (ს/კ 432 543 704)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტი	1	103654	61411
სავაჭრო მოთხოვნები		1010716	487441
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ		62461	553119
მოთხ.პარტნიორებზე გაცემული სესხიდან			
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი			
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	2	3499	31151
ოფისის აღჭურვილობა		822	2980
მიწის ნაკვეთი		187000	187000
ძირითადი საშუალებები	3	1787403	1496361
სულ აქტივები		3155555	2819463
ვალდებულებები			
ფინანსური ვალდებულებები		321549	179212
საწვავის მომწოდებლები		13354	
საგადასახადო ვალდებულებები		82748	9528
გმრელვადიანი სესხები		283903	83081
გადასახდელი პროცენტები			
სულ ვალდებულებები		527806	652408
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		1926195	1895234
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3155555	2819463

დირექტორი : გიორგი ბერიანიძე



შპს „ელე-2005“ (ს/კ 432 543 704)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

31.12.2022

31.12.2021

ნეტო ამონაგები		
საქონლის გაყიდვიდან		6991
მომსახურების გაწევიდან	3383458	2804751
სხვა	1489	5282
სხვა შემოსავალი		
სულ შემოსავალი	3384947	2817024
დასაქმებულთა ანაზღაურება	231959	242701
საპენსიო ანარიცხები	2234	3286
ცვეთა და ამორტიზაცია	233012	181789
საგადასახადო ხარჯი	16451	16125
გადაზიდვის ხარჯი	1134358	452220
საწვავის ხარჯი	766062	723656
დაზღვევის ხარჯი	20649	31953
მიმდინარე რემონტის ხარჯი	320208	146612
საპროცენტო ხარჯი	41999	31996
სხვა ხარჯი	23310	6876
ბანკის ხარჯი	4487	459
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		
რეალიზებული ა/მ თვითღირებულება		
სულ საოპერაციო ხარჯი	2794729	1837673
საოპერაციო მოგება	590218	979351

დირექტორი : გიორგი ბერიანიძე



შპს „ელე-2005“ (ს/კ 432 543 704)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

2022წ

საოპერაციო შემოსავალი	3384947
საოპერაციო ხარჯები	2794729
საწვავი	766062
შრომის ანაზღაურება	231959
სოციალური ანარიცხები	2234
გადაზიდვის მომსახურება	1134358
დაზღვევა	20649
მიმდინარე რემონტი	320208
ბანკის ხარჯი	4487
დარიცხული ცვეთა	233012
დარიცხული პროცენტი	41999
სხვა საგადასახადო ხარჯი	16451
სხვა ხარჯი	23310
გაცემული დივიდენდი	475369
მ.შ. დივიდენდის საშემოსავლო 5%	23768

დირექტორი : გიორგი ბერიანიძე



ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებათა შენიშვნები

თანხები მოცემულია ქართულ ლარში

დასახელება	2022წ	2021წ
ნაღდი ფული სალაროში	0	0
ფულადი სახსრები ბანკის ანგარიშზე	103654	61411
სულ ფულადი სახსრები	103654	61411

შენიშვნა 2

დასახელება	2022წ	2021წ
ავტონაწილები	0	0
საწვავი	3499	31151
სულ	3499	31151

შენიშვნა 3

დასახელება	2022წ	2021წ
ავეჯი და ინვენტარი	822	2980
სატრანსპორტო საშუალებები	1787403	1496361
მიწა	187000	187000
სულ აქტივები	1975225	1686341

